

ირინე მოდებაძე
თამარ ციციშვილი
(საქართველო)

ემპათია – XXI საუკუნის თემატური ინოვაცია მსოფლიო
პანდემიანაში: ეთგარ კერეტის „Stories in Times of Coronavirus“
(„მოთხრობები კორონავირუსის ჟამს“)

კაცობრიობას არა ერთი ეპიდემია თუ პანდემია ახსოვს. ის უკვე დიდი ხანია კულტურული მეხსიერების ნაწილად იქცა, ხოლო გადატანილი განცდებით მიყენებულმა ფსიქოლოგიურმა ტრავმამ ხელოვნებაში, უპირველეს ყოვლისა, ფერწერასა და მწერლობაში, მრავალფეროვანი ასახვა ჰპოვა. ფრანგი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი რენე ჟირარი (1923-2015) თავის ცნობილ ესსეში „ჭირი მწერლობაში და მითოსებში“ (1974) აღნიშნავს, რომ ეს თემა *“is older than literature – much older, really, since it is present in myth and ritual in the entire world”* / „მწერლობაზე ძველია, – ბევრად ძველია, რადგან ის ასახულია მთელი მსოფლიოს მითებსა და რიტუალებში“ / (Girard 1974: 833).¹ მართალია, რენე ჟირარი საუბრობს ჭირზე, მაგრამ ნათელია, რომ მისი დაკვირვება ნებისმიერი მთავრადიანი სენის თემაზე ვრცელდება.

ბერძნული სიტყვა „ეპიდემია“ ავადმყოფობის მნიშვნელობით პირველად ჰიპოკრატემ გამოიყენა (ძვ. წ. IV-III სს.), მაგრამ სასიკვდილო სენის ხსენება ანტიკურ მწერლობაში გაცილებით ადრე გვხვდება: მომავრდინებელი ჭირი ნახსენებია ჰომეროსის „ილიადაში“ (ძვ. წ. IX–VIII სს.), სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“ (ძვ. წ. V ს.) და სხვა. ანტიკურ მწერლობაში ეპიდემიები ღმერთების რისხვადაა მიჩნეული: თუ ჰომეროსთან ბერძნებს ჭირს ბრისეიდას გატაცებით განრისხებული აპოლონი უგზავნის, სოფოკლესთან მსგავსი ქმედება ოლიმპოს მობინადრეების ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგია: ოიდიპოსის მიერ ჩადენილი მამის მკვლელობის გამო ისინი თებეს ჭირით სჯიან.

უზენაესის მიერ ამა თუ იმ ხალხის დასჯად მოვლენილი სასიკვდილო სენი ბიბლიის უძველეს ნაწილშიცაა ნახსენები. ამ თემამ განვითარება ქრისტიანობაშიც ჰპოვა და ხშირადაა ასახული ხალხურ რწმენაში და აპოკრიფებში. შუასაუკუნეების ევროპაში თვით სიტყვა „ჭირი“ სიკვდილის სინონიმად იქცა და ჩადენილი ცოდვებისათვის უფლის დასჯად აღიქმებოდა. გაძლიერდა მისი ესქატოლოგიური ინტერპრეტირება. „გამოცხადებაში იოანე ღმრთისმეტყველისა“ (6: 7-8) ნათქვამია: „7. და როცა ახ-სნა მეოთხე

1 აქ და შემდგომ ციტატები უცხო ენებიდან თარგმნა – ი.მ.

ბეჭედი, მომესმა ხმა მეოთხე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე. 8. და შევხედე, და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა – სიკვდილი; და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას; და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედზე დედამიწისა, რათა მუსრი გაავლოს მახვილითა და შიმშილით, სიკვდილითა და მინიერ მხეცთაგან“ (ბიბლია 1989: 1201). და ხალხს სწამდა, რომ სენს უფლის ნებით აპოკალიფსისის მეოთხე მხედარი ავრცელებს.

სამყაროს აღსასრულის მაუწყებლის – ჩალისფერ (ბერძნ. χλαρძ) ცხენზე ამხედრებული მისტიკური არსების წინაშე ადამიანი თავს უძლურად გრძნობდა და უფალს შეწყალებას ევედრებოდა. სწორედ ამ დროიდან შეიცვალა მეოთხე მხედრის სახელი და ამიერიდან „სიკვდილის“ ნაცვლად მას ხშირად „ჭირს“, ან „სენს“ უწოდებდნენ.



იმდროინდელ მწერლობაში არა ერთგზის გვხვდება ხალხის დაღუპვის რეალისტური აღწერა, მაგალითად, ე.წ. „იუსტინეს ჭირის“ (VI-VIII სს.) ასახვა ბიზანტიელი მწერალ-ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის „იუსტინიანეს ომების ისტორიაში“, ან ბერისა და გენუის ეპისკოპოსის იაკობ ვორაგინელის მიერ შედგენილ კრებულში „ოქროს ლეგენდა“ (XIII ს.), სადაც შესულია ჭირთან დაკავშირებული წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდები და ფოლკლორული თქმულებები.

რენესანსის ეპოქაში სუსტდება ესქატოლოგიური განწყობა – პანდემია უკვე არ აღიქმება, როგორც უფლის სასჯელი (გარდაუვალი სასიკვდილო განაჩენი და მსოფლიოს აღსასრულის მანიშნებელი). იგრძნობა რწმენა იმისა, რომ ადამიანს შეუძლია სიკვდილის თავიდან აცილება. მწერლობაში მატულობს თავდაცვის შესაძლებლობების ხსენება, ხოლო პანდემიებით შეცვლილი რეალობა, არა მხოლოდ მრავალი სიუჟეტის განვითარების ფონად, არამედ თხრობის განუყოფელ ნაწილად იქცევა: ნებაყოფლობით თვითიზოლაციაში არიან ჯოჯანი ბოკაჩოს გმირები („დეკამერონი“, 1352); კარანტინის გამო რომეოსთან აგვიანებს მოსვლას

ბერი, რომელსაც ჯულიეტას ყალბი სიკვდილის ამბავი მოაქვს, რასაც ტრაგედიამდე მიჰყავს *უილიამ შექსპირის* გმირები („რომეო და ჯულიეტა“, 1597); შავი ჭირის ფონზე ვითარდება მოქმედება *ალესანდრო მანძონის* რომანში „დანიშნულება“ (1827) და სხვა მრავალი.

უფრო გვიანდელ ხანაში მატულობს ჭირის გარდა სხვა ეპიდემიების ხსენებაც: ქოლერა, ტუბერკულოზი, ესპანური გრიპი, ტიფი, სიფილისი და ა.შ. ისინი უამრავი კლასიკური ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების განუყოფელი ნაწილი, ან, სულაც ხილული თუ უხილავი პერსონაჟი ხდება: ტუბერკულოზისგან კვდებიან ბალზაკის „შაგრენის ტყავის“ (1831), ალ. დიუმას „ქალი კამელიებით“ (1848) და რემარკის „სამი მეგობრის“ (1936) გმირები; ტუბერკულოზის სანატორიუმში ვითარდება მოქმედება თ. მანის „ჯადოსნურ მთაში“ (1924) და მოემის ნოველაში „სანატორიუმი“ (1938), ქოლერის გამო მიემგზავრებიან ჩინეთში მოემის „მოხატული ფარდის“ (1925) გმირები, პანდემიის ფონზე ვითარდება მოქმედება მარკესის რომანში „სიყვარული ჟამიანობის დროს“/„სიყვარული შავი ჭირის დროს“ (1985) და სხვა მრავალი; „წითელი სიკვდილი“ თავად სტუმრობს ედგარ ალან პოს გმირებს („წითელი სიკვდილის ნილაბი“, 1842) და ა.შ.

ნათელია, რომ გასული საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო პანდემიანის არქეტიპულ („საბაზისო“) თემად მიჩნეული, პანდემიის, როგორც მსოფლიოს აღსასრულის მანიშნებლის წარდგენამ გარკვეული ტრანსფორმირება განიცადა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ყოველი ახალი პანდემიის წინაშე ისევ და ისევ შიშის ზარს სცემს კოლექტიურ არაცნობიერში დაცული ესქატოლოგიური განწყობა, რაც ხელს უწყობს პანიკური განწყობის გავრცელებას.

როგორც ნესი, ყოველი ახალი ეპიდემია თუ პანდემია საზოგადოებაში დამკვიდრებულ საბაზისო ღირებულებათა ქსელს არყევს, ინვესს სოციალურ და ეკონომიურ ცვლილებებს, რაც მწერლობის მარადიული თემების (სიცოცხლის, სიკვდილის, სიყვარულის, ღირსების, უსამართლობისა და მწუხარების) ახლებურად გადააზრების საფუძვლად იქცევა. საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ე.წ. „ეპიდემიოლოგიური მწერლობის“ მთელი რიგი ჟანრობრივი ინვარიანტი. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორცაა *რომანი-რეპორტაჟი*. ამ ტიპის ნარატივი მხატვრულ ნაწარმოებში პირველად *დანიელ დეფომ* გამოიყენა რომანში „შავი ჭირის წელიწადის დღიური“ (1722), ხოლო მე-20 საუკუნეში მას *ალბერ კამიუმ* მიმართა თავის განთქმულ რომანში „შავი ჭირი“ (1947), რის შემდეგაც მე-20 საუკუნის პანდემიანაში თხრობის „დოკუმენტურობა“ ძალზე პოპულარული გახდა. დღესდღეისობით საკმაოდ პოპულარულია ფანტასტიური ჟანრის *რომანი-გაფრთხილება*. აღსანიშნავია, რომ ამ რომანებშიც, სადაც კაცობრიობას სხვადასხვა ტიპის ვირუსი ემუქ-

რება, ხშირად შეინიშნება რომან-რეპორტაჟისათვის დამახასიათებელი ნარატივის სახეობა.

მიუხედავად თემატური მრავალფეროვნებისა, მსოფლიო პანდემიანაში შესაძლებელია რამდენიმე უკვე ტრადიციად ქცეული ძირითადი თემის გამოყოფა. მათ შორის:

ჰედონისტური – სიკვდილის წინ საბოლოო სიამოვნებისკენ სწრაფვა (ედგარ ალან პოს „წითელი სიკვდილის ნილაბი“, 1842; ჯონ უილსონის (ფსევდონიმი ქრისტოფერ ნორთი /Christopher North/) დრამატული პოემა „ჭირის ქალაქი“ /„The City of the Plague“/, 1816; ალ. პუშკინის „ნადიმი ჟამიანობის დროს“, 1830 და სხვა).

ტრაგიკული – გლოვა საყვარლის/ახლობლის დაღუპვის გამო და სიყვარულის ტრანსცენდენტური მარადიულობის გაცნობიერება (პეტრარკას სონეტები, 1348 – ლაურა, სავარაუდოდ, დაიღუპა შავი ჭირისაგან).

კატასტროფის განცდა (სოციალურის, ეკონომიურის ან იდეოლოგიურის), ანუ ეპიდემია, როგორც ქაოსის მომტანი ძალა (ჯოვანი ვილანის/ Giovanni Villani/ „ახალი ქრონიკა“, XIV ს.; კამიუს „შავი ჭირი“, 1947; თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“, 1912; გ.-გ. მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“, 1967 და სხვა მრავალი).

გმირული (სიკეთის და ბოროტების დაპირისპირება). ეს თემა ყველაზე შთამბეჭდავად ფანტასტიკურ ლიტერატურაშია დამუშავებული, სადაც ბოროტი (ზოგჯერ კი წინდაუხედავი) მეცნიერების მიერ გამოყვანილი, ან კოსმიური, ან რამე სხვაგვარი მომაკვდინებელი ვირუსი კაცობრიობას განადგურებით ემუქრება, მაგრამ თავდადებული გმირული ბრძოლა ბოროტების დამარცხებით სრულდება.

როგორც წესი, ეპიდემიებსა და პანდემიისადმი მიძღვნილ ტექსტებში რამდენიმე ძირითადი თემატური შრის შერწყმა-შეხამება შეინიშნება, რაც თემატური ინვარიანტულობის მარადიულ წყაროდ იქცა. 21-ე საუკუნეში ამ მდიდარ მხატვრულ პანდემიანას COVID-19 განცდაც დაემატა. თანამედროვე მწერლობაში არა მხოლოდ საუკუნოვანი ტრადიციების მქონე თემების ინტერპრეტირება, არამედ ახალი თემატური ინოვაციებიც შეინიშნება. ერთ-ერთი მათგანი *ემპათიის* (ეზოთერული კავშირის, თანაგრძნობისა და სხვა ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათავისების უნარის) განვითარების თემა გახლავთ.

პანდემიით შეცვლილ რეალობაში ემპათიის თემა ხმამაღლა გაჟღერდა *ეტგარ კერეთის* კორონავირუსის დროს დაწერილ მოთხრობებში. 1967 წელს დაბადებული ცნობილი ებრაელი მწერალი და დრამატურგი ეტგარ კერეთი თელ-ავივში ცხოვრობს, წერს ებრაულ ენაზე (ივრითზე), მაგრამ მას თვალსაჩინო ადგილი, არა მხოლოდ ისრაელის მწერლობაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც უკავია. კრიტიკოსთა დახასიათებით,

ე. კერეტის თხზულებათა ენა უბრალოა, სადა და ყოველდღიური, რაც სხვა ენობრივ სივრცეში მისი ტექსტების გადატანას ხელს უწყობს და მისი ნაწარმოებების თარგმანებს მთელი მსოფლიო კითხულობს.

ე. კერეტი ქართველმა მკითხველმა პირველად 2006 წელს გაიცნო. ახლა ქართულ ენაზე უკვე ნათარგმნია მწერლის ორი წიგნი – „ნებროთმა გარეკა“ (2007) და „უეცრად კარზე აკაკუნებენ“ (2015) და რამდენიმე მოთხრობა. (ორივე წიგნი თამარ ბაბუაძემ თარგმნა, ხოლო 2015 წ. ე. კერეტის კიდევ რამდენიმე მოთხრობა თარგმნა დალილა გოგიაძემ). მწერალი თბილისს 2007 წელს „ცხელი შოკოლადის“ მოპატიჟებით ეწვია და საკუთარი წიგნის პრეზენტაციას დაესწრო.



ე. კერეტი ნოველებისა და მოკლე მოთხრობის ჟანრის აღიარებული ოსტატია. ავსტრალიელმა კრიტიკოსმა კლაივ ჯეიმსმა (Clive James) ის დაახასიათა, როგორც „მახვილგონიერი“, „თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცოცხალი ავტორი“ – „one of the most important writers alive – enchantingly witty“. New York Times-ი ე. კერეტს ჩვენი დროის გენიოსად მიიჩნევს – „Etgar Keret is

ეთგარ კერეტი.

ფოტო ნუკა ლამბაშიძე

a geni-us...“, ხოლო ინდური ნარმოშობის ბრიტანელი მწერლის, სალმან რუშდისთვის (Salman Rushdie) ამ „ბრწყინვალე მწერლის“ („A brilliant writer“) ნაწარმოებებში „მომავალი თაობის ხმა“ ისმის – „voice of the next generation“ (იხ.: Keret, about, 2020 [on-line]). მაგრამ „ეტგარისთვის მთავარი მაინც მკითხველია და არა კრიტიკოსი“, – აღნიშნავს დათო ტურაშვილი (იხ. ტურაშვილი 2011 [on-line]).

მწერლის პირად ვებგვერდზე (<https://www.etgarkeret.com/section/stories>) რუბრიკით „Stories in Times of Coronavirus“ /„მოთხრობები კორონავირუსის ჟამს“/, განთავსებულია ამ თემისადმი მიძღვნილი მოთხრობების თარგმანები, რომლებიც მრავალი ქვეყნის ჟურნალებში გამოქვეყნდა (სამწუხაროდ, ისინი ქართულად ჯერ ნათარგმნი არ არის და იძულებული გავხდით სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანებით ვიხელმძღვანელოთ – **ი.მ.**). სავარაუდოთ, ამ თარგმანთა შორის ყველაზე

პოპულარულია მოთხრობა „Outside“ /„გარეთ“/, რომელიც 2020 წლის მარტში დაიბეჭდა New York Times Magazine-ის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში „The New York Times Magazine’s Decameron Project“. ამ კრებულში შევიდა სხვადასხვა ეროვნების ავტორთა მიერ ამჟამინდელი პანდემიის დროს დაწერილი 29 საუკეთესო ნაწარმოები. მათ შორის ე. კერეტიც „Outside“-იც (ჩვენც ამ ინგლისურენოვანი თარგმანის ტექსტს ვიყენებთ – **ი.მ.**).

მოთხრობაში ასახულია, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაზე იძულებითი თვითიზოლაცია – inside /შინ/ ყოფნა. მარტოობა, ‘პიროვნების გაუცხოება’ (სოციუმის სხვა წევრებისაგან დისტანცირება) – თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელსაც ე. კერეტი პანდემიის ფონზე უბრუნდება. ჩვეული სოციალური კავშირები შეწყდა და იზოლაციის შემდგომ ძველი ცხოვრების რიტმის დაბრუნების ერთ-ერთ სირთულედ მწერალი სოციუმში ადაპტირების პრობლემას მიიჩნევს: „After 120 days of isolation, it’s not always easy to remember what exactly you used to do for a living“ /„იზოლაციის 120 დღის შემდეგ ყოველთვის იოლი როდია იმის გახსენება, თუ რას საქმიანობდი“/. სოციალურ-ეკონომიური კატასტროფის განცდის ტრადიციულ თემას ე. კერეტი თანამედროვე ცხოვრების ყოველდღიურობის ფონზე ავითარებს. მთავარი გმირის ცნობიერებაში ერთიანდება ორი დამანგრეველი კოლაფსის – პანდემიისა და ომის (პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის) ტრავმული განცდა: კარანტინი და კომენდანტის საათი; პოლიციელები და სამხედროები მშვიდობიან ქუჩებში.

ე. კერეტი დარწმუნებულია, რომ თანამედროვე ადამიანი მარტივად ეჩვევა მარტოობას და გარკვეული დროის შემდეგ მას უჭირს წინანდელი ცხოვრების აქტივობების გახსენება და არც მობილურში შენახული ინფორმაცია ეხმარება მას: „You scroll through your phone for something that might help you get things straight. Previous appointments, missed calls, addresses in your memos“ /„ტელეფონში ინყებთ ისეთი ინფორმაციის ძებნას, რაც რაღაცეების გარკვევაში დაგეხმარებათ. ძველი შეხვედრები, გამოტოვებული ზარები, მეხსიერებაში დამახსოვრებული მისამართები“/. კომენდანტის საათი /კარანტინი/ მოიხსნა, მაგრამ „Three days after the curfew was lifted, it was clear that no one was planning to leave home. For reasons unknown, people preferred to stay inside, alone or with their families <...>. After spending so much time indoors, everyone was used to it by now: not going to work, not going to the mall, not meeting a friend for coffee, not getting an unexpected and unwanted hug on the street“ /„კომენდანტის საათის მოხსნიდან სამი დღის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სახლის დატოვებას არავინ აპირებდა. რატომღაც ადამიანები შინ დარჩენას ამჯობინებდნენ, მარტო, ან ოჯახთან ერთად

<...> სახლში გატარებული ამდენი ხნის შემდეგ ყველა უკვე გადაეჩნია სამსახურში ან სავაჭრო ცენტრში სიარულს, ყავაზე მეგობართან შეხვედრას, ქუჩაში მოულოდნელ და არასასურველ ჩახუტებას¹. მაგრამ როდესაც სამხედროები და პოლიციელები მაინც აიძულებენ მათ გარეთ გასვლას, ისინი სრულიად შეცვლილ რეალობაში ხვდებიან, თითქოს საბოლოოდ გაუჩინარდა თანამედროვე ცივილიზაციის ნიშნები: „*When you ask if you can pay with a credit card, he grins as if you just told him a joke*“ / „როდესაც ეკითხებით, შეიძლება თუ არა საკრედიტო ბარათით გადახდა, ელიმება, თითქოს ეხუმრებით“/. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი სურათია. ადრე თუ გვიან, ძველი ცხოვრების წესი აღდგება „*და მარტოობისას აჩვილებული გული მალე ისევ გაკაჟდება.*“ / „*and the heart that softened while you were alone will harden back up in no time*“ (მოთხრობის ტექსტი იხ.: Keret, Outside, 2020 [on-line]).

გაზეთ *The Jerusalem Post*-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ე. კერეტმა განაცხადა, რომ მისი მოთხრობა ცხოვრებისეული „ინერციის წინააღმდეგაა“ მიმართული. მწერლის აზრით, COVID ააშკარავებს, რომ ჩვეულებრივ პერიოდებში ჩვენი „საქმიანობის 90% ინერციით კეთდება“, და როდესაც „სამყარო ჩერდება“, ის აიძულებს ადამიანს დაფიქრდეს იმაზე „თუ რა უნდა აკეთოს ეხლა, რას გრძნობს და რა სურს“: „*In normal periods, I think that 90% of what we do is out of the force of inertia, but something about COVID flushes that out. There is something about the world being put to a stop that makes you ask yourself: ‘OK, what am I going to do now? What am I feeling now? What do I want now?’*“ (The Jerusalem... 2020 [on-line]).

თვითიზოლაციაში ყოფნისას დაწერილ ამ მოთხრობაში აშკარად იგრძნობა ე. კერეტის წერის სტილისთვის დამახასიათებელი სარკასტული იუმორი, რომლის გამო მას ხშირად „დამცინავი მოკლე მოთხრობის“ („*sardonic short stories*“) ავტორს უწოდებენ და „შავი იუმორის“ განთქმულ ოსტატს – კურტ ვონეგუტს ადარებენ. მაგრამ შედარებით უფრო გვიან დაწერილ მოთხრობებში უკვე განსხვავებული ინტონაციებიც ჟღერს. მაგალითად, მოთხრობაში „*Eating Olives at the End of the World*“ / „ზეთისხილს მივირთმევ სამყაროს აღსასრულისას“/¹ რომლის სათაური, მართალია, სხვადასხვა ენაზე შესრულებულ თარგმანებში განსხვავდება („*Der Preis der Oliven*“ / „ზეთისხილის ფასი“ / – გერმანულად; „*Маслины, или блиус за края на света*“ / „ზეთისხილი, ან „ბლუზი სამყაროს აღსასრულისას“ / – ბულგარულად; „*Mga oliba sa katapusan ng mundo*“ / „ზეთისხილი სამყაროს აღსასრულისას“ / – ფილიპინურად; „*Le monde est sur le point de*

1 მოთხრობა ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა ჟურნ. *The New York Review*-ში 2020 წლის 12 აპრილს (The New York Review, 2020 [on-line]) , ხოლო რუსულად – 2020 წლის 10 მაისს ჟურნ. «Сноб»-ში. მოთხრობის ტექსტი იხ.: (Keret, Olives, 2020 [on-line]) – *ი.ბ.*

disparaître et je mange des olives“ /„სამყარო ილუპება და მე ვჭამ ზეთის-ხილს“/ – ფრანგულად; „Оливки“ /„ზეთისხილი“/ – რუსულად და სხვა. – **ი.მ.**), მაგრამ თითქმის ყველგან ჟღერს სიტყვები „ზეთისხილი“ და „სამყაროს აღსასრული“. ჩვენი აზრით, ისინი ამ ტექსტის საკვანძო სიტყვებია. ნაწარმოების სათაური მისი შინაარსის ძირითადი კონცეპტია (იხ.: Веселова ... 2011: 199-230) ეს სიტყვა-ცნებები მსოფლიო პანდემიანის ორ ძირითად თემაზე მიგვითითებს: *არქეტიპულ* „მსოფლიოს აღსასრულის“ მოლოდინზე და *ჰედონისტურ* სწრაფვაზე. ამ ძირითად თემებს *ეკონომიური კატასტროფის* განცდაც ემატება.

მოთხრობის შინაარსი ძალზე მარტივია: ნარატორი პიცისთვის საჭირო პროდუქტების შესაძენად შედის მაღაზიაში, მაგრამ მას მხოლოდ ცარიელი თაროები ხვდება – პანდემიით დაშინებულმა ხალხმა მთლიანად დაცალა მაღაზია, სადაც პიკულებისა და ჰიგიენური საფენების გარდა არაფერი დარჩა: *“They bought everything, <...> all that’s left is menstrual pads and pickles”* /„ყველაფერი იყიდეს, <...> ჰიგიენური საფენების და პიკულების გარდა“/. ამ დაცლილ თაროებზე საბედნიეროდ მოიძებნა პიკულებში გარეული ტკბილწინაკიანი ზეთისხილის ერთადერთი ქილა, სწორედ ისეთი, როგორც მოთხრობის მთავარ პერსონაჟს ჰყვარებია: *„The only thing on the pickle shelf was a single jar of pimento-stuffed olives, my favorite kind“* / „თაროზე მხოლოდ ჩემი საყვარელი – ტკბილწინაკიანი ზეთისხილი იდო“/. გახარებული მოთხრობელი სალაროსკენ გაემართება, თუმცა, როდესაც მოლარისათვის ფულის გადახდას სცილობს, ქალი ფულის აღებაზე უარს ეუბნება: *“Money?” – she said with a snort, “the world is about to end and you’re offering me money? What exactly am I supposed to do with it?”* გამოვიყენო? / „ფული? – გაიცინა, ქვეყანა ინგრევა, შენ კი ფულს მთავაზობ? შენი აზრით, რაში უნდა გამოვიყენო?“/ და ფულის სანაცვლოდ ითხოვს ჩახუტებას: *“A hug,” the tearful cashier interrupted me and spread her arms out, “it’ll cost you a hug.”* /„ჩამეხუტეთ“, – შემანყვეტინა ატირებულმა მოლარემ და ხელები გაშალა, – თქვენ ჩახუტება გმართებთ“.

სიტუაციიდან გამომდინარე, მისი საქციელი სავსებით ლოგიკურია – სანამ მოთხრობის გმირი დაცლილ მაღაზიაში პროდუქტებს ეძებდა, მოლარე ქალს ტელეფონით შეატყობინეს შვილიშვილის სიკვდილის ამბავი და ახლა, ღირებულებათა გაუფასურების ჟამს, სასონარკვეთილ ქალს ფულზე მეტად თანადგომა სჭირდება. ის შვილიშვილს დასტირის: *“He’s like a warm loaf of bread,” she said, “my sweet little grandson. I’ll never see him again, I’ll never smell him, I’ll never get to hug my baby again.”* /„თბილი პურივით გემრიელი <...> ჩემი ტკბილი, პატარა შვილიშვილი. ველარასდროს ვნახავ, აღარასდროს შევიგრძნობ მის სუნს, ველარასდროს ჩავეხუტები“/.

და სწორედ ამ მომენტიდან ე. კერეტის ტექსტში ჩნდება ახალი თემა – ემპათიის (ეზოთერული კავშირის, თანაგრძნობისა და სხვა ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათავისების უნარის) თემა.

მოთხრობის ფინალში სამყაროს აღსასრულის მოლოდინში მთავარი გმირი თავის აივანზე გაჭირვებით გამოტანილ ტელევიზორთან ჩამოჯდება და ყველს და ზეთისხილს მიირთმევს. იგი დარწმუნებულია, რომ „*but if this is it, then there's no better way to end it than with a starry sky and a lousy Argentinian soap*“ /„და თუ ეს აღსასრულია, მის მოლოდინში არაფერი შეედრება ვარსკლავიან ცას და სულელურ არგენტინულ სერიალს“/. წრე შეიკრა: ფინალში სრულიად ნათელი ხდება მოთხრობის სათაურში მოცემული მარკერების მნიშვნელობა – მსოფლიოს აღსასრულის მოლოდინს თან ჰედონისტური განწყობა ახლავს (საყვარელი ზეთისხილის გემოთი, ვარსკვლავებიანი ცის სილამაზით და ტელევიზორის ყურებით ტკობა). ე. კერეტის მოთხრობებში ყველა დეტალი მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია: მისი გმირი სერიალს უყურებს, რომელსაც „სულელურს“ უწოდებს. 436 ეპიზოდია, თანაც ესპანურ ენაზე, რომელიც მას არ ესმის, მაგრამ სხვა არხზე გადართვას არც ცდილობს.

ნათელია, რომ ამ ეპიზოდში ჰედონისტური განწყობის თემას ე. კერეტისათვის დამახასიათებელი „ცხოვრებისეული ინერციის“ თემაც ემატება. ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებული თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების (ჟ.-ფ. ლიოტარის ტერმინს თუ გამოვიყენებთ – იხ. *Лиотар 1998 [on-line]*) ნევრისათვის ინფორმაცია – მისი ცხოვრების განუყოფილი ნაწილია, მაგრამ პანდემიით შეცვლილ რეალობაში მნიშვნელობას კარგავს, არა მხოლოდ საკრედიტო ბარათი და მობილურში შენახული ინფორმაცია, არამედ ტელეპროგრამებით ტკობაც. ინფორმაციაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ემოცია. ტრაგიკული თემის ჰანგები სრულიად ახლებურად ჟღერს – მოთხრობის გმირი ისევ მაღაზიის მოლარეს იხსენებს: „*I close my eyes and think back to the cashier at the grocery store. When we hugged I tried to be small, to be warmer than I really am. I tried to smell like I'd only just been born*“ /„თვალეებს ვხუჭავ და სასურსათო მაღაზიის მოლარეს ვიხსენებ. როდესაც ვეხუტებოდი, ვცდილობდი, იმაზე უფრო პატარა და თბილი ვყოფილიყავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ. ვცდილობდი, ისეთი სუნი მქონოდა, როგორც მხოლოდ ახალშობილებს აქვთ“/. ნათელია, რომ საუბარი არა მხოლოდ თანაგრძნობაზეა, არამედ ემპათიაზე – უცხო ადამიანის განცდის გათავისებაზე.

ემოციური ველისა და ემპათიის მნიშვნელობის თემას ვხვდებით ე. კერეტის მოთხრობაში „ჩემი ცოლი კლდესავით მაგარია“,¹ სადაც ახლებურადაა გადააზრებული სიცოცხლე-სიკვდილის ღირებულება. კორონავირუსის პანდემიით დაშინებული მოთხრობის გმირი საკუთარი სიკვდილის წარმოდგენას ცდილობს. ასთმით დაავადებულ კაცს სიკვდილის მოლოდინი ადრეც არ ასვენებდა, მას ხშირად ესიზმრებოდა სხვადასხვა სახის ტრაგიკული შემთხვევები, მაგრამ კომმარები ყოველთვის ბედნიერი გადარჩენით სრულდებოდა. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა – „გაჩნდა კორონავირუსი და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა“ /“появился коронавирус и все расставил по местам“/. ახლა ის უკვე ვერ ხედავს გადარჩენის შანსს და სიზმრებში ისევ და ისევ ხალხით გადატენილ საავადმყოფოს მიმღებში კვდება, მაგრამ ყველაზე ძლიერი განცდა თურმე არა სიცოცხლესთან დამშვიდობება, არამედ მისი გარდაცვალების გამო ოჯახის მწუხარება ყოფილა. „სიკვდილი უნდა ჰგავდეს ცხოვრების სერიალის ბოლო ეპიზოდს, მაგრამ შენ კვდება და ახალი სეზონი აღარასოდეს დადგება. ვის სურს სეზონის დასრულება ხალხმრავალ და ხმაურიან მიმღებში ატირებული ოჯახის კადრით?“ /„Смерть должна быть как финальный эпизод в сезоне жизненного сериала, только вот ты мертв и новый сезон никогда не наступит. А кто хочет заканчивать сезон кадром с плачущей семьей в забитом и галдящем приемном покое?“/. ის კორონავირუსის-გან სიკვდილს ტერორისტების ხელით მკვლელობას ამსგავსებს და სიზმარში ატირებული ცოლის დაწყნარებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. გაღვიძებული უხსნის მას თავის მწუხარების მიზეზს და მხოლოდ მაშინ წყნარდება, როდესაც ქალი პირდება, რომ მის გარდაუვალ სიკვდილს წყნარად მიიღებს. „წასვლა გაცილებით ადვილია, როდესაც ძლიერ ქალს ტოვებ“ /“Гораздо легче уходить, когда ты оставляешь позади женщину-скалу“/.

რენე ჟირარი აღნიშნავდა, რომ ეპიდემიისას სიკვდილის წინაშე ყველა (მეფე იქნება თუ გლეხი, კეთილშობილი თუ მდაბიო) თანაბარია, და ამ თემას მიძღვნილი მწერლობის ძირითადი ნაწილი – რეფლექსიაა სოციალური საზღვრების მოშლაზე (იხ.: Girard 1974), მაგრამ 21-ე საუკუნეში საერთაშორისო საზღვრების დაკეტვა, ცხოვრების ჩვეული რიტმისა და კომუნიკაციის დარღვევა ადამიანის ფსიქიკას გაცილებით უფრო ძლიერ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს, ვიდრე წინა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სოციალური იერარქიის მოშლა. პანდემიის სახით მოვლენილი საშიშროების წინაშე მატულობს ემოციის

¹ ტექსტის ანალიზისას ჩვენ გამოვიყენეთ თარგმანები ხორვატულ – „Moja žena, čvrsta kao stena“ (Keret 2020 [on-line]) და რუსულ – «Женщина-скала» /„კლდექალი“/ (Keret 2020 [on-line]) ენებზე – **o.ბ.**

მნიშვნელობა, სხვა ადამიანების მიმართ თანაგრძნობის განცდა. იშლება „პიროვნების გაუცხოების“ საზღვრები, ხოლო გულრწფელი ადამიანობა ცივილიზაციის მონაპოვრებზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება. „სხვათა“ ემოციების გაზიარება აერთიანებს კაცობრიობას და სანამ ჩვენ თანაგრძნობის უნარი გვაკავშირებს სამყაროს აღსასრული არ დადგება. ჩვენი აზრით, ეტგარ კერეტი თავის მოთხრობებში სწორედ ამის თქმას ცდილობს.

დამონშებანი:

- Biblia*. Sakartvelos Sap'at'riarkos Gamotsema (ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989).
- Girard, Rene. The Plague in Literature and Myth. *Texas Studies in Literature and Language*, 1974, Vol. 15, No. 5, pp. 833-850 Published by: University of Texas Press. [on-line]: https://moodle2.units.it/pluginfile.php/334431/mod_resource/content/1/Girard%20-%20The%20Plague%20in%20Literature%20and%20Myth.pdf
- Keret, about, 2020 [on-line]: <https://www.etgarkeret.com/about.html>
- Keret, Etgar. *Outside*, 2020 [on-line]: <https://www.nytimes.com/interactive/2020/07/07/magazine/etgar-keret-short-story.html>
- Keret, Etgar. *Schenstschina-skala*. Sch. “Snob”, 2020, 10 maja (Этгар Керет. Женщина-скала. Ж. «Сноб», 2020, 10 мая) [on-line]: <https://snob.ru/entry/192560/>
- Keret, Etgar. *Eating Olives at the End of the World*. [on-line]: <http://zinga.photos/2020/04/eating-olives-at-the-end-of-the-world/>
- Keret, Etgar. *Moja žena, čvrsta kao stena*. Nedelja, May 2020. [on-line]: <https://www.danas.rs/nedelja/moja-zena-cvrsta-kao-stena/>
- Liotard, Jean-Fransasua. *Sostoyanie Postmoderna*. Moskva, Spb.: Aleteja, 1998 (Лиотар Ж.-Ф. Состояние постмодерна. Москва, Спб.: Алетейя, 1998). [on-line]: <https://gtmarket.ru/library/basis/3097>
- The Jerusalem Post*, [on-line]: <https://www.jpost.com/israel-news/culture/author-etgar-keret-finds-inspiration-in-coronavirus-645606>
- The New York Review*, April 12, 2020. [on-line]: <https://www.nybooks.com/daily/2020/04/12/eating-olives-at-the-end-of-the-world/>
- T'urashvili, Dato. *Pot'omothkroba – Chemi Megobari Et'gar K'eret'i* (ტურაშვილი, დათო. ფოტომოთხრობა – ჩემი მეგობარი ეტგარ კერეტი). [on-line]: https://virtfriend.at.ua/news/pot'omothkroba_chemi_megobari_et'gar_k'eret'i/2011-10-28-31
- Veselova N.Yu., Ovcharenko O.A. Zaglavie. *Teoria Literatury*, t. II. Proizvedenie. Moskva, IMLI RAN, 2011 (Веселова Н.Ю., Овчаренко О. А. Заглавие. Теория литературы, т. II. Произведение. М.: ИМЛИ РАН, 2011).

Irine Modebadze
Tamar Tsitsishvili
(Georgia)

**Empathy as the Twenty-First Century Thematic Innovation
in World Pandemic Literature
(Etgar Keret's „Stories in Times of Coronavirus“)**

Summary

Key words: pandemic, COVID-19, Etgar Keret, Hebrew literature, empathy, thematic innovation.

The centuries-old history of mankind has been marked by more than one epidemic or pandemic. It has long been a part of cultural memory. The psychological trauma caused by the transferred feelings has found a variety of reflections in art, primarily in painting and writing. In the paper, from a synchronic and diachronic perspective, we review the traditional themes of the art of overcoming the deadly illness and its artistic peculiarities in the context of world literature.

Despite the thematic diversity, several traditional themes can be distinguished in the World Pandemic:

Hedonistic – the pursuit of ultimate pleasure before death;

Tragic – mourning the death of a loved one and realizing the transcendental eternity of love;

The feeling of catastrophe (social, economic, or ideological) – or an epidemic as the power of chaos;

Heroic (confrontation of good and evil). This theme is most impressively addressed in fantasy literature, where various deadly viruses threaten to destroy humanity, but a dedicated heroic battle ends with the defeat of evil.

As a rule, in the texts dedicated to epidemics and pandemics, a combination of several main thematic layers is observed. In the twenty-first century, COVID-19 feeling has been added to these rich artistic reflections. Modern literature devoted to the new pandemic not only interprets themes with centuries-old traditions but also observes new thematic innovations. One of them is the development of empathy - compassion and the ability to understand the psychological state of others. One of the first authors writing about the awakening and intensifying the ability to empathize in altered reality was Etgar Keret, whose stories were written during times of COVID-19.

E. Keret is a recognized master of the genre of novels and short stories. Australian critic Clive James described him as „*one of the most important writers*

alive – enchantingly witty“. New York Times considers Keret a genius of our time- „*Etgar Keret is a genius...*“.

In the paper, we discuss the Israeli writer’s stories “Outside“, “Eating Olives at the End of the World” and “Rock Solid Wife”. We tried to study the peculiarities of transforming the existing artistic traditions or innovations in their artistic system.

The story “Outside” was published in March 2020 in the anthology compiled by the New York Times Magazine “The New York Times Magazine’s Decameron Project”. The story shows how forced self-isolation – being inside – affects the psyche of a modern person. Loneliness, “personal alienation” (distance from other members of society) is one of the acute problems of modern writing, which E. Keret returns amid the pandemic.

The usual social connections were interrupted, and the writer considers the problem of adapting to society to be one of the difficulties of returning to the old rhythm of life after isolation: „*After 120 days of isolation, it’s not always easy to remember what exactly you used to do for a living*“. E. Keret develops the traditional theme of the feeling of socio-economic catastrophe against the background of everyday life. In the consciousness of the main character, the traumatic feeling of two devastating collapses - pandemic and war (Palestine-Israeli conflict) is united: quarantine and curfew; Police and military in peaceful streets.

E. Keret is sure that modern man easily gets used to loneliness and after some time it is difficult for him to remember the activities of his previous life. Of course, sooner or later, the old way of life will be restored „*and the heart that softened while you were alone will harden back up in no time*“.

In an interview given to The Jerusalem Post, E. Keret said that his story is directed “against the inertia” of life.

In the story “Eating Olives at the End of the World”, in our opinion, “olives” and “the end of the world” are the keywords of this text and point to two main themes of the world pandemic: the archetypal “end of the world” expectation and the hedonistic pursuit. Adding to these basic themes is the sense of economic disaster.

In the finale of the story, waiting for the end of the world, the main character sits down on his balcony in front of the television set brought outside with great difficulty and eats cheese and olives. He is sure that „*but if this is it, then there’s no better way to end it than with a starry sky and a lousy Argentinian soap*“. The circle closed: in the finale, the meaning of the markers given in the title of the story becomes completely clear - waiting for the end of the world is accompanied by a hedonistic mood, to which the theme of “life inertia” characteristic of Keret is added, but in the reality changed by the pandemic, the most important thing is empathy - understanding the feelings of a stranger.

The importance of the emotional field and empathy is discussed in Keret's story "Rock Solid Wife", where the value of life and death is rethought.

Closing international borders, and disrupting the normal rhythm and communication of life has a strong impact on the human psyche. On the one hand, it creates a depressive background and evokes an eschatological mood. On the other hand, in the modern information society (J.-F. Lyotard) the importance of information and virtual communication is increasing. In the virtual world, linguistic and ethnic boundaries are blurred, and the importance of emotional compassion increases, which contributes to the development of empathy. Facing dangers in the form of the pandemic, the importance of emotional understanding of dangers in the form of a pandemic, is growing. A sense of compassion for strangers unites humanity.

The end of the world will not come until we have the ability to empathize. In our opinion, this is what Etgar Keret is trying to emphasize in his stories.